№ 168. 25 აგვისტო, ხუთშაბათი. 1866—1883 25 აგვისტო, ხუთშაბათი. № 168.

რედაქცია

გოლოვინის პროსპეკტზე თავ. მუხრან ბატონის სახლში კლუბის ქვემოდ.

ხელის-მოწერა, მიიღება თბილისში «დროების» რედაქციაში, ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ редакцію «Дроэба»

«დროების» ფასი

მთელის წლისა	9 მან.	სამის თვისა	3 მან.
ექვსის თვისა	5 მან.	ერთის თვისა	1 მან.

დროება

ფასი განცხადებისა

სტრიქონზე რვა კაპ. განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდველ წერილებს რედაქცია ვერ დაუბ უნებს პასუხს.

გამოდის უოველ დღე ორშაბათს გარდა.

ცალკე ნომერი «დროებისა» ღირს 5 კაპეიკი

ტელეგრამები

(«ჩრდილოეთის საგენტოსი.»)

23 აგვისტოს.

ბოსნია. გუშინ გრაფი შამბორის ცხედარი ბევრის ხალხით მოაცილეს სამიტროპოლიტო ეკლესიაში, კოსტან—ვოვიცში; ეკლესია მდიდრული სამგლოვიარო სამკაულით არის შემოსილი; ბალდახინზედ ოქროს ყვავილებით მოქარგული თეთრი დროშა სდგას; საფრანგეთიდამ და იტალიიდამ ბევრი ლეგიტიმისტები მოდიან; რადგანაც პარიქელმა გრაფმა უარ ჰყო დასაფლავების პროცესიაში მონაწილეობის მიღება, ამისათვის ბოსნიკაში შეკრებილნი ფრანცუზები უმზადებენ გრაფს თანასაგრძნობ დემონსტრაციას.

ბლასგო. აქ დაატუსაღეს ცხრა ირლანდიელი, რომელთაც დინამიტით მკვლელობის განზრახვაში მონაწილეობა ბრალდებათ.

პეშტი. გუშინ სალამოს სეგესტორში ადელვებულმა ხროვამ ბევრი აოხრება მოახდინა; ამ დროს ერთი უწესოების მონაწილეთანგანი მოკლეს და ოთხიც დასჭრეს; სიკოლომიდგან ჯარები მოითხოვეს.

პეტერბურღი. სამზღვარ გარეთ წასასვლელ პასპორტებზე ხარჯის მომატება შეუფერებლად იცვნეს.

ალექსანდრია. ფიქრობენ ინგლისის დროებითი ჯარები შეამცირონ 3000-მდინ.

ბოსნია. გუშინ სალამოს გრაფი შამბორის ცხედარი მიწას მიაბარეს გვარის აკლდამაში, რომელიც კოსტან-ვოვიცში სამიტროპოლიტო ეკლესიის მთავარი ტრაპეზის ქვეშ იმყოფება.

ბირჟა

პეტერბურღი, 1883 წ.

100 მანათის კურსი სამის თვით ლონდონზე — —	$23^{24}/_{32}$, $23^{13}/_{32}$
100 მანათის კურსი სამის თვით ჰამბურგზე — —	$203^{4}/_{8}$, 203
100 მან. კურსი სამის თვით პარიუზე — — —	$250^{5}/_{8}$, 251
პოლიუმპერიალეტი — —	8 მ. 33 კ. გაუ.
ტამოჟნის კუპონები —	8 მ. 31 კ. გაუ.
ვერცხლის მანათი — —	1 მ. 40 კ. გაუ.
ბირჟის დისკონტი — —	6 და 7%
5% ბილეთები აღმოსავლეთის სესხისა 100 და 1000 მან. I გამოცემისა —	92 მ. 12 კ. მყიდ.
5% ბილეთები აღმ. სესხისა 100 და 1000 მ. II გამოცემისა — — —	92 მ. 12 კ. გაუ.
5% ბილეთები აღმ. სესხისა 100 და 1000 მ. III გამოც.	92 მ. 12 კ. გაუ.
5% მომგები ბილეთები I შინაგანის სესხისა — —	214 მ. მყიდ.
5% მომგები ბილეთები II შინაგანის სესხისა — —	210 მ. გაუ.
რუსული ხორბალი, 10 ფუთი — — — —	$12^{1}/_{4}$—$12^{3}/_{4}$ მ.
ხორბალი; საქსონკა უმაღლესის სორტისა, 10 ფუთი	13 მ. 35 13 მ. 55 კ.
ჭვავის პური, 9 ფუთი —	$9^{1}/_{4}$ მან. გაუ.
შვრია, 6 ფუთი — —	5 მ. 10 კ.
ქერი, 8 ფუთი — —	8 მან. 40 კ. გაუ.
ფქვილი ჭვავის პურისა, მოსკოვისა, 9 ფუთი —	$9^{1}/_{2}$ მ. გაუ.
კეროსინი ამერიკისა —	2 მ. 20 კ. გაუ.
კეროსინი რუსული — —	1 მ. 30 კ. გაუ.
ქონი ყვითელი, სანთლისა, 1-ლი სორტი — —	74 მ. გაუ.
ქონი საპნისა — — —	არ არის.
ერბო ძროხისა, ციმბირისა	10 მან. გაუ.
სპილენძი ფურცლობით, ფუთი — — — —	იგივეა.
რკინა ფურცლობით, ფუთი	3 მ. 70 კ. გაუ.
ძროხის ტყავები დამარილებული, ფუთი — —	14 მან. გაუ.
ძროხის ტყავები ამერიკისა, ფუთი — — — —	$5^{1}/_{4}$ მან. გაუ.
სპირტი ოსტეიისა 4%, ვედრო — — — —	1 მან. 5 კ. გაუ.
შაქარი რაფინადი 1-ლის სორტისა, ფუთი — —	$8^{1}/_{2}$ მ. გაუ.
შაქარი რაფინადი, მე 2 სორტისა, ფუთი — —	არ არის.
ფხვნილი შაქარი — —	7 მან. გაუ.
პოტაში, 10 ფუთი —	28 მან. გაუ.

თბილისი, 24 აგვისტო.

ამ ცოტას ხანში ჩვენის გაზეთის შინაური ქრონიკაში იყო, სხვათა შორის მოყვანილი ერთი პატარა ამბავი, რომელიც შეიძლება მკითხველმა უყურადღებოდ დასტოვა. იქ იყო ნათქვამი, რომ იმერეთის მოხუცებულთ განუზრახავთ სთხოვონ ძუთაისის ახალს გუბერნატორს, ბ. სმეკალოვს, ხალხს იარაღი აჰყაროსო, რადგანაც კაცების ჩეხა და კვლა ერთობ გახშირდაო. ძალიან სასიამოვნოა, რომ ჩვენი უფროსი კაცები ერთობ ძილს, მწყერაობას და ყალიონს არ მისცემიან და საზოგადო საქმეებზედაც ჰფიქრობენ, მაგრამ ამ შემთხვევაში კი კაი თათბირი ვერ მოჰსვლიათ და ნუ შეგვრისხვენ, თუ ორიოდე თავაზიანი სიტყვა მოვახსენოთ მათი განზრახვის წინააღმდეგ.

საზოგადოდ უნდა ვსთქვათ, რომ ბალათი რეფორმების შემოტანა, ერთის ბრძანებით—შინაგანი რეფორმატორებისაგან იქნება ეს ბრძანება, თუ გარეულებისაგან,—გაუქმება ხალხის რომელიმე ჩვეულებისა, სადგომისა, თუ ტანთ-საცმელისა, რომელსაც მთელი საუკუნეებით შესჩეოვია და რომლის უვარგისობასაც ჯერ თითონ არა ჰგრძნობს, ყოველთვის უთვალავ ენებას მოიტანს სარგებლობის მაგიერ. მაგალითებს ათასობით მოვიყვანდით, თუ საჭიროდ ვხედავდეთ, როგორც მსოფლიო ისტორიიდამ, ისე ჩვენის ცხოვრებიდამ. იარაღი მხოლოდ ერთი საგანთაგანია, რომელიც ჩვენს შინაურს რეფორმატორებს სიაში უწერიათ გასაუქმებლად. მათ სიას ამშვენებენ, სხვათა შორის, ჩვენი ხატობები, ქორწილები, ნათლობები, და ასე გასინჯეთ—ტახტები, მუთაქები, ჩოხები და ფაფანიკიც-კი.—მაგრამ ამ შემთხვევაში ჩვენ მხოლოდ იარაღზედ გვინდა ვილაპარაკოთ.

მარტო ის გარემოება, რომ დღევანდლამდე ქართველი კაცი იარაღს წელიდამ არ იხსნის, გვიმტკიცებს, რომ იარაღი საჭირო ყოფილა ცხოვრებისთვის და უმისოდ ჩვენში მოსვენებით ძილი და მუშაობა შეუძლებელია. როდესაც რომელიმე ქვეყანა იმ წარმატებამდე მიაღწევს, რომ მცირედი ნაწილი მისი შვილებისა იარაღით ხელში სამზღვრებზედ დარაჯობენ თავის ქვეყნის მყუდროების დასაცველად და შინაურნი მუშაკნი სულით და გულით დამშვიდებულნი

«დროების» ტელეფონი, 25 აგვისტ.

შინ და გარეთ

(უმდეგი)

ეხლა, მკითხველო, თავი დავანებოთ ჩვენს საკუთარს თავ-გადასავალს და სხვა ხალხთა მწერლობის ისტორიიდამაც მოვიყვანოთ ორიოდე ცნობა. შეგველია, რომ მწერლობის ისტორია ფრიად საინტერესოა, მეტადრე დრო გამოშვებითი მწერლობისა. იგი წარმოადგენს გასაოცარს სურათს: თქვენ წარმოგიდგებათ მწერლობის გამბედაობა, თავ-განწირულება, გოდება, ტირილი, მამაცური ქცევა და საყვარელის აზრისათვის თავ-გამომეტება; თქვენ გეხატებათ ფართო ბრძოლის ველი, რომელზედაც შეუჩერებელი და გამწარებული ბრძოლაა, რომელზედაც ილერება შავი მელანი არა, არამედ სისხლი და მწარე ცრემლი. ნუ იფიქრებთ ეთომც სისხლის და ცრემლის მუდმივი დენა მოასწავებდეს მწერლობის დაზიანებას და დათრგუნვას; არა, ვინც ესე ფიქრობს, ის მწარედ სცდება და არ ესმის ისტორია და ხალხთა ცხოვრების კანონები. მწერლობის წამებულთა სისხლი და ცრემლი ერთობ ანოყიერებს მწერლობის ნიადაგს და უთხრის მის გამქელავს სამარეს; ეს ნიადაგი კი აღმოაცენებს კიდევ უფრო შეუპოვარ მეომართ, რომელნიც დაისაკუთრებენ ბრძოლის ასპარეზს და განფანტავენ, განდევნიან თავიანთ დამჩაგვრელთა.

ესრეთია სურათი ყოველის ხალხის მწერლობისა და სწორედ სამწუხაროა, რომ ზოგიერთნი სრულიად არ აკვირდებიან მის ისტორიასა და არ შეისმენენ ისტორიულ მაგალითების მნიშვნელობას და აზრსა. ჩვენ გვსურს მოვუთხროთ მკითხველს რაოდენიმე ფაქტი უცხო მწერლობის ისტორიიდამ და მით ეუჩვენოთ მას, თუ როგორ სძლევს მწერლობა თავის დამბრკოლებელ მიზეზს. როგორცა ვსთქვეთ, მწერლობა და საზოგადოდ წინა კაცები, რომელნიც შეადგენენ ცხოვრების სიმშვენიერეს და ძალას, ყოველთვის დევნილნი იყვნენ; მათ გაუვლიათ ეკლიანი გზა და მოუპოვებიათ ხალხის პატივისცემა და ძლიერი გავლენა. ინგლისი, რომელიც დღეს ქადულობს მთელი კაცობრიობის წინაშე თავის პოლიტიკურ თავისუფლებას, მეცნიერებას და მწერლობას, ერთს ჟამს სდევნიდა საუკეთესო მამულის შვილებს და თავისუფალ აზრსა, იგი სტანჯვიდა და დაგვიდა მათ და ამ გვარ საზიზღარ საქმეს სჩადიოდენ ხანდისხან ისეთი კაცებიც კი, როგორიც იყო, მაგალითად, ბეკონი. როცა ინგლისში დაარსდა ჟურნალ-გაზეთობა, ამ უკანასკნელის წარმომადგენელთ დიდი გამბედაობა და მეცადინეობა ჰმართებდათ საქმის რიგიანად დადგენისათვის; ინგლისელი საზოგადოება, კანონი, წარჩინებულნი პირნი, ერთის სიტყვით ყველანი, სდევნიდენ მათ; მრავალი მწერალი სასტიკად დასჯილა ცემით; მათ მიაკრავდენ ხოლმე მოედნის სვეტს და საქვეყნოდ სცემდენ მათრახებსა მხოლოდ იმისთვის, ხომ ისინი ემსახურებოდენ ჭეშმარიტებასა; მათ არა ჰქონდათ არავითარი საშუალება თავიანთ ღირსების და პიროვნების დაცვისათვის. ერთმა ინგლისელმა მოსამართლემ, სახელად ჯეფრეიხმა, ჟურნალისტს ტეტჩინს გარდაუწყვიტა მათრახებით დასჯა; საცოდავი ტეტჩინი მოსამართლის გარდაწყვეტილების ძალით უნდა ეტარებინათ დასავლეთ ინგლისის ქალაქებში, უნდა მიეკრათ იგი სვეტზე და საქვეყნოდ ეცემნათ მათრახებით. ტეტჩინი თითქმის მუხლ-მოდრეკით ეხვეწებოდა მოსამართლეს სიკვდილით დასჯის გარდაწყვეტას, მაგრამ «მოსამართლე» შეუწყნარებელი იყო; მოსამართლე კარგად გრძნობდა, რომ სიკვდილით დასჯა უფრო ადვილი ასატანი იყო ტეტჩინისთვის, ვიდრე მათრახებით ცემა საქვეყნოდ.

ეს მაგალითი ცხადად გვიჩვენებს, თუ რა ყოფაში იყვნენ ინგლისელი მწერლები. საფრანგეთში უუღიდესს მწერალს ვოლტერს ერთმა ვილაცა გარყვნილმა არისტოკრატმა სცემა საქვეყნოდ. წარსულს საუკუნეში რუსის მწერალს ტრედიაკოვსკის «ოზ-

არიან, რომ მათი ოფლით მონაღვაწი არც მალვით და არც ცხადლივ არავისგან წარიტაცების, მაშინ იქ იარაღი ისე ტყუილ ბარგად გარდაიქცევა, როგორც ტყუილი ბარგია ქალებისთვის საყურები. მაგალითებრ, შვეიცარიაში, ჰოლანდიაში, ან ნორვეგიაში რომ ქუჩებზედ მოსიარულე ხანჯალ შემორტყმული კაცი ნახონ, თითით ჩვენებას დაუწყებენ. თუმცა ოფიციალურ ქაღალდებში დიდი ხანია სწერენ, რომ ჩვენი «მხარე მშვიდობიან მდგომარეობაში» იმყოფება, მაგრამ ამ სიტყვებს მხოლოდ შედარებითი მნიშვნელობა აქვს. როდესაც ხშირი ბინდი ორ მებრძოლე მტერთ გაჰყრის და ფიცხელი ომით მოქანცული ჯარი დაიბანაკებს, იმ ჯარზედაც შეუძლიან შორით მაყურებელმა სთქვას, რომ მებრძოლეთ ბანაკი მშვიდობიან მდგომარეობაში იმყოფება, მაგრამ ახლა იმათი გულის ღრენა და სულის მდგომარეობა უნდა გაისინჯოს. კიდევ ვიმეორებთ, ხმალი და თოფი მაშინ აღარ იქნება საჭირო, როდესაც მინდორში მუშაობით დაქანცული ქართველი კაცი შინ დაბრუნდება და ჰოლანდიელი ნემეცივით ღრმა ძილს მიეცემა იმ იმედით დამტკბარი, რომ იმ ღამეს იმის ძროხას, ხარს, ანუ ცხენს ბაკიდამ არავინ გაიყვანს. ხშირად სძინავთ ხოლმე ესე ტკბილად იმერეთის იმ მოხუცებულთ, რომელთაც განუზრახავთ სთხოვონ იარაღი ჩამოხსნან ხალხსა?.. როდესაც ის ორგანოები, რომელთაც დავალებული აქვთ ჩემის პიროვნების, საკუთრების და სხ., დაცვა, იქამდე სუსტნი არიან, რომ თავიანთი მოვალეობა ვერ აღუსრულებიათ, მაშინ მე ჩემი თავი თითონ უნდა დავიცვა. ძურდებსა და ავაზაზაკებს, რომ თავი დავანებოთ, იარაღი საჭიროა მარტო ნადირის მოსაგერებლად. შორს რომ არ წავიდეთ, პოლშაზედ დიდი ტყეები და იმოდენა მგლები რუსეთის არე-მარეში სხვაგან არსად არ იყვნენ, მაგრამ ეხლა ისე გაწყვიტეს, რომ ზამთარშიაც კი შუა-ღამისას უშიშრად შეიძლება უდაბურ ალაგებში მოგზაურობა. ჩვენ ჯერ ამ მცირე ბედნიერებასაც მოკლებუნი ვართ.

იმ პრაქტიკულ მნიშვნელობის გარდა, რომელიც იარაღს უეჭველად აქვს აწინდელ ჩვენ ცხოვრებაში, მას აქვს ჩვენთვის ზნეობითი მნიშვნელობაც. ძართველი კაცი იარაღსაც რომ არ ატარებდეს, მთლად დაქალაჩუნავდებოდა და მჩვრად იქცეოდა. ვისაც იარაღი არ უტარებია, ის ვერ წარმოიდგენს, რა ზნეობით კმაყოფილებას, გულის სიმაგრეს და სიამაყეს ჰგრძნობს შეიარაღებული კაცი!..

რაც შეეხება იმერეთის მოხუცებულთ საბუთს, რომ იარაღის წყალობით, ვითომ ჩვენში ბევრი ხალხი ფუჭდებოდეს, ამასაც შემოწმება და დამტკიცება უნდა. საუბედურო შედარებითი სტატისტიკა ჯერ სიზმარშიაც არავის მოჰლანდებია, თორემ ის რომ არსებობდეს, მაშინ ცხადად დამტკიცდებოდა—სად უფრო ხშირია კაცის კვლა: ჩვენში, თუ რუსეთში, ვსთქვათ.

ჩვენის ფიქრით კი, თუმცა რუსეთში იარაღს არ ატარებენ, ბუნებითაც იქამდე მშვიდნი არიან, რომ იქ საც ჩვენებური ერთს ეტყვის და მეორეზედ ჯღარანს გაადენს, რუსებს შეუძლიანთ მთელი ორი საათი ერთმანეთი ლანძღონ და მშვიდობიანად დაჰშორდენ; მაგრამ იქ ირმუკებზედ და ბაზრის დღეში «ოგლობლებით» (ხელნით) და ცულით დაკოდილების და დაჭრილების რიცხვი თუ არ აღემატება, არ ჩამოუვა ჩვენსას. მაინც თუ ბოლოს დროს იარაღის ხმარება გახშირდა ჩვენში, ამისი მიზეზი არც თითონ ხანჯალია, არც ქართველი კაცის ბუნება, რომელიც იქამდე პატივსა სცემდა თავის ერთგულ ამხანაგს ხანჯალს, რომ ცუდუბრალოდ მის შეწუხებას არ გაჰბედავდა. ვინა ხმარობს ხშირად ხანჯალს და ბრალიან-უბრალოსა სჩეხს? ბიმნაზიებიდამ გამოვარდნილი წვეროსანი ყმაწვილები, «ატსტავნოი» იუნკრები, რომელთაც გუშინ გადუცვავთ ჩოხა, შეიარაღებულან და ვაჟკაცობა წარა-მარად ხანჯლის ტრიალში მიაჩნიათ. საზოგადოებაში, თემში ყოველთვის იცნობენ ამისთანა ჭირვეულებს—მათი რიცხვი მცირეა—და მართლა სასარგებლო იქნებოდა, რომ მოხუცებულებმა ბ. გუბერნატორის შეწუხების მაგიერ, თითონ აღუკრძალონ იარაღის ტარება ამისთანა ვაჟ-ბატონებს.

შემდეგს წერილში ამ საგანს კიდევ დავუბრუნდებათ.

შინაური ქრონიკა

ᲫᲣᲗᲐᲘᲡᲘᲓᲐᲛᲐ გვწერენ: ძლიეს ელირსა ქ. ძუთაისს სახელოსნო თვითმმართველობა. 25 ივლისს შეიკრიფა მთელის ძუთაისის ამქრობა სამეფო სახლის ეზოში და შეუდგა არჩევანს. ამოირჩიეს ყველა მოხელენი, რამდენიც კი იყო საჭირო, სამმართველოსი; იქირავეს სახლი და ამ მოკლე დროში შევლენ და შეუდგებიან კიდეეაც საქმეს. სამართველოს თავად ამოირჩიეს სომეხთაგანი, ბ. ᲧᲣᲠᲣᲚᲝᲕᲘ, და მის თანაშემწედ: ერთი ბ. ᲪᲐᲒᲐᲠᲔᲚᲘ და მეორე ბ. რუსაძე. არჩევნის წინ ხალხი აქა-იქ ჯგუფ-ჯგუფად იყვნენ თავ-მოყრილნი და ბაასობდენ იმაზედ, თუ ვინ ამოერჩიათ. სხვათა შორის იბაასეს იმაზედაც, რომ, თითქმის, არავინ ჩვენგანმა რუსული წერა-კითხვა არ ვიცითო და რადგანაც ჩვენ მოგვეცა უფლება ჩვენი საქმე ჩვენვე განვაგოთო, ამისათვის ვითხოვოთ რომ კანონები ქართულად გადმოითარგმნოსო. თითქმის ყველას სურდა ბ. ᲪᲐᲒᲐᲠᲔᲚᲘ ამოერჩიათ—თავად. ᲪᲐᲒᲐᲠᲔᲚᲘ დერეკიკია, ამას შესრულებული აქვს ოთხი კლასი ძუთაისის გიმნაზიაში. მაგრამ არჩევნის დროს ბ. ᲪᲐᲒᲐᲠᲔᲚᲛᲐ, არ ვიცით კი რა მიზეზისთვის, უარი განაცხადა კენჭის ყრაზედ და ამოირჩიეს ბ. ᲧᲣᲠᲣᲚᲝᲕᲘ. ამ არჩევანში მამა ᲢᲔᲠ-ᲓᲐᲕᲘᲗ ᲘᲐᲠᲐᲚᲘᲐᲜᲪᲘ რალაც მონაწილეობას იღებდა; დადიოდა ხალხში, შლიდა ხელებს, აქა-იქ ხალხს ებაასებოდა, უმტკიცებდა რალაცაებს და მალ-მალ შუბლზედ ოფლს იწმენდდა. მგონი ბ. ᲧᲣᲠᲣᲚᲝᲕᲘ მამა ᲢᲔᲠ-ᲓᲐᲕᲘᲗ ᲘᲐᲠᲐᲚᲘᲐᲜᲪᲘᲡ რჩევით იყო წარმოდგენილი კანდიდატად. საკვირველია ზოგიერთა კაცის საქმე, მეტადრე მღვდლისა, გარეეა იმისთანა საქმეში, სადაც არც ადგილი და ხმა აქვს, არც მოვალეობა ითხოვეს და არც გამოცდილება იწვევს! ჩვენის აზრით მამა ᲢᲔᲠ-ᲓᲐᲕᲘᲗ ᲘᲐᲠᲐᲚᲘᲐᲜᲪᲘᲡ ცდა და ოფლის ღვრა სულ ის იყო, სხვა არაფერი, რომ სამმართველოს თავად ვინმე ᲧᲣᲠᲣᲚᲝᲕᲘᲡ ჯურისა ამოერჩეულიყო.

ᲐᲛᲐᲡ წინად რუსულ გაზეთებიდამ იყო ჩვენს გაზეთში მოყვანილი ცნობა, რომ თ. ᲓᲝᲜᲓᲣᲙᲝᲕ-ᲫᲝᲠᲡᲐᲙᲝᲕᲘᲡგან პეტერბურღში წარდგენილი პროექტი ᲫᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ სოფლის სკოლებში ცვლილების მოხდენაზე მიღებული არ იქმნა და ეს ცვლილება შემდეგისთვის გადიდვაო. ᲔᲮᲚᲐ იგივე გაზეთები გვატყობინებენ, რომ ამ საქმის თაობაზედ პეტერბურღში იმყოფება ეხლა ჩვენის სამოსწავლო ოლქის მზრუნველი ბ. ᲘᲐᲜᲝᲕᲡᲙᲘ, მაგრამ კრინტსაც არა სძრავენ არც იმაზედ, თუ ეს «ცვლილება ჩვენის სოფლის სკოლების საქმისა» როგორი უნდა იყოს, არც თ. ᲓᲝᲜᲓᲣᲙᲝᲕ-ᲫᲝᲠᲡᲐᲙᲝᲕᲘᲡაგან წარდგენილს პროექტზედ.

ᲑᲐᲗᲣᲛᲘᲓᲐᲛᲐ გვწერენ: «რო-

გითა» სცემა ხელმწიფის სასახლეში მოსამსახურე პირმა, რადგანაც ᲢᲠᲔᲓᲘᲐᲙᲝᲕᲡᲙᲘᲗ დანიშნულს დროისთვის ვერ მოასწრო კარგის ქების დაწერა დედოფლისთვის. რუსეთის იმპერატრიცამ, დიდმა ᲔᲙᲐᲢᲔᲠᲘᲜᲔᲛ, საკუთარის ხელით სცემა იმავე ᲢᲠᲔᲓᲘᲐᲙᲝᲕᲡᲙᲘᲡ, რომელმაც დიდ ბედნიერებათ ჩასთვალა ეს ფაქტი და დიდის მოწიწებით და სიამოვნებით ჩასწერა იგი თავის სახსოვარ წიგნში. საზოგადოდ ძლევა მოსილთა ჰყავდათ თავიანთ მახლობლად მწერლები, პოეტები, ვითარცა მათი შემაქებელნი, მაქებელნი და მასხრები; ინახავდენ მათ იმ დროამდე, ვიდრე კარგად ემასხურებოდენ—და ვაი იმ მწერლის, ან პოეტის ბრალი, რომელიც განიზრახავდა თავისუფალს მოქმედებას; იგი ნადირსავით დევნილი იქმნებოდა. რასაკვირველია, უმეტესნი მათგანნი არჩევდენ პირფერობას და დამოკიდებულს მდგომარეობას და თავის სიცოცხლეს ქედ-მოდრეკილნი ატარებდენ; ეს გარემოება ერთობ ცუდად მოქმედებდა მწერლობაზე; ბევრს მის წარმომადგენელთ უჩლუნგებდა გონებას, ურყვნიდა ზნეობას და მით რყვნიდა მთელს მწერლობასაც; მაგრამ იცვალა დრო და ჟამი; პროგრესმა სძლია წყვდიადი და გარყვნილება; მწერლობამ დაიპყრო ბრძოლის ველი და დღეს ინგლისში, საფრანგეთში და ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲐᲨᲘ სდგას მკვიდრს ნიადაგზე. იქ მოისპო იმ პირუტყვების მოდგმა, რომელიც უწინ თავის უწმინდურის ჩლიქებით სთელავდა მწერლობას და სთვლიდა მას თავის საკუთარ ნაგავის მზგავს ნივთიერებად.

შეიცვალა ჟამი და მასთან შეიცვალა მწერლობის მდგომარეობაც; დღეს მწერლობა ისეთი ძალაა, რომელიც იპყრობს და ჰმართავს მთელს სახელმწიფოთა; დღეს ᲔᲕᲠᲝᲠᲘᲡ განათლებულ ქვეყნებში ყოველს საზოგადო მომქმედს, პოლიტიკოსს, აქვს თავისი ლიტერატურული ორგანი, უამისოდ ის ვერას დროს ვერ შეიძენს გავლენას ხალხზე და იძულებული იქმნება მიატოვოს თავისი ასპარეზი.

ᲑᲐᲛᲝᲩᲔᲜᲘᲚᲘ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲔᲚᲘ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘ ᲯᲔᲤᲔᲠᲡᲝᲜᲘ საფუძვლიანად ამბობდა: «მე ვარჩევ ცხოვრებას იმისთანა ქვეყანაში, სადაც არსებობს მწერლობა და არ არის მმართებლობა, ვიდრე იქ, სადაც არის მმართებლობა და არ არის მწერლობა». ამ კაცს ესმოდა მწერლობის ძალა და ბედნიერია ის ქვეყანა, რომელსაცა ჰყავს ᲯᲔᲤᲔᲠᲡᲝᲜისთანა პატიოსანი და გონიერი მამულის-შვილები. დღეს ᲯᲔᲤᲔᲠᲡᲝᲜის სამშობლოში მწერლობა ისეთი ძალაა, რომელსაც ვერც ერთი ძალა სახელმწიფოსი ვერ შეედრება. მწერლობის წარმომადგენელნი ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲐᲨᲘ დიდს პატივში არიან და დიაღაც დაუმსახურებიათ იგი; როცა გარდაიცვალა ᲑᲔᲜᲔᲢᲘ, ერთი უფროდესი ამერიკული გაზეთის რედაქტორი, მთელი ქალაქი მგლოვიარების ნიშნად შეიმოსა შავის დროშებით, შეაჩერა ვაჭრობა, დაკეტა ყველა საზოგადო და სამართველო დაწესებულებანი. დღეს ᲑᲔᲜᲔᲢᲘᲡ გაზეთს ასოც-და-ათი ათასამდე ხელის-მომწერი ჰყავს; ᲑᲔᲜᲔᲢᲘᲡ შვილმა, ეხლანდელმა რედაქტორმა, რაოდენიმე ექსპედიციია გამართა საკუთარის ხარჯით; ამით მან დიდი სამსახური გაუწია მწერლობას და მეცნიერებას; მას აუარებელი ყოფა-ცხოვრება აქვს და ფუჭათაც არ ხარგებლობს მით. ᲣᲤᲠᲝᲡᲡ ᲑᲔᲜᲔᲢᲡ კი, როცა დაიწყო გაზეთის გამოცემა, ჰქონდა მხოლოდ ერთი ან ორი ათასი მანეთი და დიდის გაჭირვებით შეუდგა გაზეთის გამოცემას. ᲘᲠᲝᲛᲘᲗ ᲘᲚᲐᲪᲐ ᲦᲔᲜᲔᲠᲐᲚᲛᲐ სცემა იმას; ამ ფაქტმა ძლიერ ააღელვა ხალხი, რომელმაც დიდი თანაგრძნობა გამოუჩინა მწერლობის მოღვაწეს; თან-და-თან ᲑᲔᲜᲔᲢᲛᲐ თავის პატიოსნური შრომის წყალობით ფეხზე დააყენა გაზეთი; მას არ მოუსპეს საშუალება გაეწია სამსახური საზოგადოებისათვის, რომელმაც შეიმუშავა თავისუფალი აზრის ამაღორძინებელი კანონები და წეს-წყობილება...

ა. ნა—ლი.

გორც მახლობელი წარმომადგენელი «Თბილისის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა» ბათუმის ქართულის სკოლისა, მე ზნეობით მოვალედ ვრაცხავდი ჩემს თავს შემეკრიფა ყოველი ცნობები იმ ადგილის თაობაზე, რომელიც მაჰმადიან ქართველთა გარდასცეს ზემოთ ნათქვამს საზოგადოებას. Დღეს ხელში მაქვს უტყუარი და ნამდვილი ცნობები, გარდმოცემულნი ისეთის სანდო პირისაგან, რომელსაც ამ საქმის წარმოებაში პირველი ადგილი უჭირავს. Ეს ცნობები საჭიროდ დავინახე პატივცემულს «Დროებას» გარდავსცე, რომელიც, უეჭველია, ცოტაოდენს ადგილს არ დაიშურებს მათთვის: პირველ სხდომაზე კომისიამ ის ადგილი დააფასა კვადრატული საჟენი ათ თუმნად და სხვა ადგილები აქვე კვადრატული საჟენი 140 მანეთად. Ეს დაფასება რკინის გზის მმართველობამ უკანვე დაუბრუნა კომისიას, რადგანაც დიდძალი ფული უნდებოდა ამ მიწების შესყიდვას. მეორე სხდომაზე კომისიამ ჩვენი სკოლის ადგილი დააფასა კვადრატული საჟენი 80 მანეთად—სულ 90 საჟენია, რაც შეადგენს 7200 მანეთს.

ნაკლები ფასი იმიტომ დასდვა კომისიამ, რომ ეს ფული რაც შეიძლება მალე მიეცესო კუთვნილებისამებრ; ახლავე მიღება აღნიშნულის ფულისა სჯობსო, ვიდრე 9000 მანეთისა (როგორც წინად დააფასეს) ათის წლის განმავლობაშიო, ამბობს კომისიის ერთი წარმომადგენელთაგანი.

Რაც შეეხება სხვა მიწებს, რომელნიც უფრო მეტად დააფასა კომისიამ, აქ თურმე უკანასკნელი ხელმძღვანელობდა იმ მოსაზრებით, რომ ამ ადგილებზე შენობები იყო გამართული და დიდს სარგებლობას აძლევდენ მეპატრონეებსაო და სკოლის ადგილი კი უსარგებლოდ იყოვო. Დღეს საქმე დაბოლოვდა. Პეტერბურღში არის გაგზავნილი ქაღალდი. Ეს 7200 მანეთი რკინის გზის მმართველობისაგან კი არ უნდა მიეცეს ვისიც ჯერ არს, არამედ სახელმწიფო ხაზინიდგან, რომელიც შემდეგში ისევ რკინის გზის მმართველობას გადაახდევინებს. Სასიამოვნო ის არის, რომ ჩვენ რკინის გზის მმართველობასთან არა გვაქვს არავითარიმე საქმე, თორემ ის საქმე მოგველოდა, რაც ბ. პალიტკოვსკიმ დამართა რამდენსამე მუშა ხალხს, რომელნიც ამუშავა და ბოლოს ერთი ბისტიც არ მისცა.

ბათუმის სკოლის მასწავლებელი მ. ნათაძე.

«ᲓᲠᲝᲔᲑᲘᲡ» ᲙᲝᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲪᲘᲐ.

Ცხინვალი, 23 აგვისტოს. შემდეგ დიდი ხნის ლოდინისა Ცხინვალშიაც მოვიდა აქაური ახლად-დანიშნული მაზრის უფროსი, თ. Ა. Ამილახვარი. Სწორე მოგახსენოთ იმდენი კარგი მესმოდა მის ქცევაზედ და მის ხალხისადმი გულის შემატკივრობაზედ, რომ გულით და სულით მსურდა დავსწრებოდი იმ დროს, როდესაც ის Ცხინვალის საზოგადოებაში მოვიდოდა. აქ უნდა მოგახსენოთ, რომ Ცხინვალის ხეობა ბუნების სიმშვენიერეთი ჩაითვლება ერთ საუკეთესო კუთხედ მთელი Კავკასიისა. Ჩინებული ჰაერი, მრავალ ტოტად და რუებად დაყოფილი Ლიახვი, ცივ-ცივი წყაროები, ხილის ბაღები, ვენახები, აქეთ და იქით ტყით შემოსილი მთები ამშვენებენ და ამკობენ ამ პატარა ხეობას, ამბობენ, უწინ როდესაც მეფე მოისურვებდა Ცხინვალის ხეობაში გამგზავრებას, თურმე იტყოდა ხოლმე; «ჩემს პატარა წალკოტში უნდა წავიდეო». მაგრამ, სამწუხაროდ, თუმცა ბუნებას ესე გულ-უხვად შეუმკია ეს კუნჭული, ხალხით კი დაუჩაგრავს. Დაუჩაგრავს ისე, რომ ამ გვარ ზნეობით დაცემულ ხალხს იშვიათად ნახავთ სადმე. Რა სიავკაცე გინდათ, რომ აქ არ იყოს: ქურდობა, ცარცვა, შურის-ძიება, კაცის-კვლა, ცეცხლის გაჩენა, სხვა-და-სხვა გვარი «პოდლოგი», ერთის სიტყვით ბუნების სიმშვენიერე რო არა ჰქონდეს ამ მხარეს აქ პატიოსან კაცს არ მოესვლებოდა. Რა არის ამის მიზეზი? Ამის მიზეზი ჯერ ის გახლავთ, რომ მთელი Ცხინვალი, რომელშიაც ხუთასექვსასი კომლი ითვლება, სულ ვაჭრების ხელშია. Უველაზედ უმეტესი ნაწილი ურიაა, მერე სომეხი, მერე ქართველი და ბოლოს ოსი. Უველა ჯურის კაცი თავ-თავისთვისაცდილობს. Ვაჭრები სულ იმასა ცდილობენ, რაც შეიძლება მეტი გამოსწოვონ იქაურ ბედკრულ გლეხ-კაცობას; ამასთანავე აქ შემოხიზნულა რამდენიმე ადვოკატი, რომელნიც უწყალოდ ჰყვლეფენ და ამასთანავე ზნეობით რყენიან საწყალ უცოდინარ ხალხსა სხვა-და-სხვა ხრიკ-მოსადები რჩევებით და ქაღალდების წერითა,—და რა გასაკვირველია, რომ ამ გვარ საზოგადოებაში, საერთო ქვეყნის საქმეები უკან არიან დაწეულნი. Უველა თავის ჯიბისათვისა ცდილობს, ქვეყნის ბედი და უბედობა მათ არ აწუხებთ. Აქაური თავადშვილობა, რომელსაც ეკუთვნის ამ მხარის გამამშვენებელი ტყეები, უწყალოდ აჩეხინებს და აწვევინებს ტყეებს; ოღონდ კი ოსმა ერთი თუმანი ანუ ძროხა ჩამოუყვანოს და რამდენიმე დღიურ ტყეს მისცემს დასაწვავად და ახოს გასაკეთებლად. Ის კი არ იცის ამ უბედურმა, რომ ამით ის სამუდამოდ ახდენს თავის მშვენიერ სამშობლოს და სჭრის ყელსა თავის შვილსა და შვილი-შვილსა. Მართლათაც, თუ Ცხინვალის ბუნება მშვენიერია, ეს იმისთვის რომ, როგორც წინად მოგახსენეთ, ტყიანი მთები ახვევია მთელ ხეობას და ეს მთები ორმოც-სამოც ვერსზედ არიან გაჭიმულნი. Ლიახვი და წყაროები მათი მოწყალებაა; მართალია, მყინვარი მთები ახლო აქვს ამ მხარეს, მაგრამ ტყეები იცავენ სიცივისაგან, რთვილისაგან, ქარისაგან და სხვა-და-სხვა ბუნების მავნებელ მიზეზებისაგან. Ამ ბოლოს დროს კი, რაკი ტყის პატრონებმა ესე უწყალოდ დაუწყეს ტყეს ჩეხა და წვა, თითქო ჰაერიც გამოიცვალა, ზოგან და ზოგან წყაროებმაც იკლეს, ქარმა უფრო ეოიმატა, ის გაჩეხილი მთებზედ ადგილებიც ამ ათის წლის შემდეგ წვიმით ჩამოირეცხება და დარჩება ისე გატიტვლებული კლდეები, რომელთ მზგავსნი Ბორსა და Ძალაქს არტყია; მაშინ სადღა იქნება ის სიმშვენიერე ბუნებისა, ის ხილის ბაღები, ის ვენახები, ის Ლიახვი და წყაროები, რომელნიც ამკობენ ამ ქვეყანას. Ერთი პატარა თოვლი რომ მოვიდეს მთაზედ, მაშინვე რთვილს გამოაგდებს და არც ხილი შერჩება ხესა და არც მტევანი ვაზსა Აი რა უბედურობა მოელის ამ კუთხეს, თუ რომ არ გამოიღვიძა აქაურმა მამულის და ტყის პატრონმა და ესე უწყალოდ და ურჯულოდ ქვეყნის წახდენაზედ ხელი არ აიღო და ან მთავრობამ ღონის-ძიება არა მიიღო-რა.

Აი ამ შემთხვევაში გვეჭირვება ჩვენც იმისთანა მთავრობისგან დაყენებული მოსამსახურე კაცები, როგორიც არის ყველასაგან პატივცემული აქაური მაზრის უფროსი თ. Ა. Ამილახვარი. მან სამი დღე დაჰყო Ცხინვალში და ამ სამ დღეს არ მოვშორებივარ. **მინდოდა გამეცნო ის როგორც მაზრის უფროსი.** Უნდა გაგიტყდეთ და მოგახსენოთ, რომ თუმცა გულ-გატეხილი ვარ სხვა-და-სხვა სასამართლო მოსამსახურეთაგან, მაგრამ ამ სამ დღეში დავრწმუნდი, რომ ჩვენშიაც მოიძებნება ნამდვილი გულ-შემატკივარი, სამსახურის კაცი.

Უმთავრესი აზრი თ. Ა. Ამილახვრისა ის არის, რომ გაიცნოს თავის მაზრა, შეიტყოს ხალხის ეკონომიური და გონებითი მდგომარეობა, გამოიძიოს, რა სენით არის ავად ჩვენი საზოგადოება და შემდეგში, რაც ღონის-ძიება მის ხელში იქნება, იმ ღონის-ძიებით უშველოს თავის მაზრას და რაც ღონის-ძიება უმაღლეს მთავრობაზედ იქნება დამოკიდებული, იშუამდგომლოს მასთან ამ ღონის-ძიების მისაღებად. Აი ეს პროგრამა, რომლითაც ხელ-მძღვანელობს ჩვენი მაზრის უფროსი. Მოსვლის უმალ აგროვებს ხალხს და მამა-შვილურად სთხოვს შეატყობინოს მას თავის საჭიროება, გაჭირვება. Რადგან ეხლა ყველგან გავრცელებულია სხვა-დასხვა ავაზაკობა, ქურდობა, დაწვა, კაცის კვლა, ამის გამო ჯერა სთხოვს საზოგადოებას ამ მავნე პირების თავიდგან მოშორებას და გადასახლებას. Ისე რიგად არის ხალხი ამ ავაზაკებისაგან შეწუხებული, რომ თითქმის ყველგან, სადაც კი მივიდა მაზრის უფროსი, რამდენიმე ავაზაკი ჩააბარეს მას. Ცხინვალშიაც, სადაც ეს ავაზაკობა გავრცელებულია, საზოგადოებამ დაასახელა რვა კაცი, რომელთ გადასახლებასაც გულით და სულით სთხოვენ თ. Ამილახვარს. Ავაზაკობის მოსპობის შემდეგ ის ცდილობს სკოლების დაარსებას და მათ გაუმჯობესობას, გზების გაკეთებას, სანიტარების, პურის მაღაზიების საქმის კარგად წაყვანას, სოფლის მმართველების ყურის გდებას, მკითხავების და სხვა მავნე პირების მოსპობას. Ამასთანავე ის იკვლევს: ბლეხ-კაცობის ეკონომიურ მდგომარეობას, ესე იგი, სად რამდენი და როგორი მამული უჭირავს გლეხ-კაცსა, რამდენი შემოსავალი აქვს ჭირნახულსა, ან სხვა რა ღონის-ძიება აქვს ცხოვრების წყაროები მოიპოვოს. Სად რამდენი მუშაა, ხელოსანი, ერთის სიტყვით, ყველას იკვლევს, ყველასა სწერს, რომ შემდეგ ამ ცნობებით შეადგინოს ნამდვილი სურათი თავის მაზრისა და როგორც მოევლებოდეს ისე მოუაროს. Ამასთანავე ის ელაპარაკება ხალხს, როგორც მამა შვილსა, არიგებს, აგონებს ყველას, რომ თუ არ საზოგადოების დახმარებით, არცერთ მოსამსახურე კაცს არ შეუძლიან სოფლის საქმე კეთილად წაიყვანოს. Და მართლათაც თუ საზოგადოებამ გულ-წრფელად და სიმართლით არ გამოუცხადა, არ შეატყობინა მთავრობას თავის გაჭირვება და გულის-წუხილი, არ მისცა მხარი, ძნელია, რომ ამ საზოგადოებას წარმატება დაეტყოს. Მეორეს მხრივ საჭირონი არიან იმ გვარნი მოსამსახურე პირნი, რომელნიც ისე ცდილობდენ ხალხის ბედნიერებას, როგორცა სცდილობს ჩვენი მაზრის უფროსი თ. Ა. Ამილახვარი. Ღმერთმა ინებოს, რომ მისი სურვილი და ცდა ბედნიერად დაგვირგვინებულიყოს და ბოლომდის არავითარი დაბრკოლება მას თავის გზაზედ არ ენახოს.

Რუსეთი

— Მმართველობას აღუძრავს ამ ყამად კითხვა იმაზედ, რომ რუსეთში გადმოსახლებულმა ნემეცებმა გატაღვებულ საზოგადოებად იცხოვრონ რუსის სასოფლო ადმინისტრატიული მმართველობის ქვეშ; ყველა მშობლები მოვალენი უნდა გახდნენ ატარონ თავიანთ შვილები რუსის სასოფლო სკოლაში; ყველა გადმოსახლებულმა ნემეცებმა უნდა ისადონ სასოფლო და სახელმწიფო სარჯები ისე, როგორც ყველა იმპერიის ქვეშევრდომი ისდის; დროებითი ნემეცების დასახლება ამას იქით სრულიად არსად არ უნდა იყოს.

— Იუსტიციის სამინისტროს წინადადება შეუტანია სენატში, რომ დასავლეთ გუბერნიებში სამკვარო დაწესებულებები ამ წლის 1 ოქტომბრიდგან დაარსდეს.

— Იმისგამო, რომ ახალი განკარგულების ძალით მოსკოვის სასულიერო აკადემიის სტუდენტებს აღარ შეუძლიანთ აკადემიის გარეთ იცხოვრონ, ბეურს მადგანს დაითხოვენ ადგილების უქონლობისგამო, რადგანაც აკადემიაში მხოლოდ 70 კაცის ადგილია.

— Სმენია, რომ ფინანსთა სამინისტრო პროექტს ადგენს იმის შესახებ, რომ მომავალი 1884 წლიდგან გაათვართოოს გლეხების საადგილ-მამულო ბანკის მოქმედება და დაწესოს რამოდენი-

მე ბანგის განუოფიდება ზოგიერთა ადგილებში, რომლნიც უფრო საჭიროებენ საადგილ-მამულო სესხში.

უცხოეთი

— პარიჟიდგან იწერებიან, რომ მინისტრებს შალმელ-ლაკურს და ბეირონს უცნობებიათ მინისტრების რჩევისთვის დაწვრილებით ანამის ხელმწიფესთან მოლაპარაკების ამბავი. ბირობის შეკრულობის წერილი ერთი თვის შემდეგ მოუკვთ. ბირობის შეკრულობაში, სხვათა შუსლებთა შორის, კიდევ შემდეგია ჩართული: ანამი ძველი ვალების გარდასახდელად უთმობს საფრანგეთს ბინტუანის პროვინციებს; საიგანს და განოის შორის ტელეგრაფი გაკეთდება; ტონკინის მთავარს ქალაქებში, თუ საჭიროება მოითხოვს, საფრანგეთის რეზიდენტები დაინიშნება, რომელთაც, თუ საჭირო იქმნა, საფრანგეთის ჯარიც ეახლება თან; საფრანგეთის მმართებლობას შეუძლიან აღაშენოს სიმაგრეები და საჭირო სადარაჯოები დააწესოს წითელი მდინარის ნაპირებზედ; საფრანგეთის რეზიდენტს ექმნება სხვებზედ მოქალაქეობული უფლება ანამის ხელმწიფის ნახვისა; ანამის ტამოუნის მმართველობა მთლად საფრანგეთის ხელში გადავა; საგაჭრო და ტამოუნის წესდებებს შემდეგ მოლაპარაკებაზედ შეიმუშავებენ. ფლოტის ლეიტენანტი შამპო დაინიშნა გუეში მინისტრად. ანამის მეფეს და მის წარმომადგენლებს მაღე გაუგზავნიან ორდენებს. სამოქალაქო კომისარი არმანი საპატიო ლეგიონის ოფიცრად დაინიშნა.

— იქიდამვე ამბავს საქმის თაობაზედ იწერებიან: გიუეს ბლოკადას კარგი შედეგი ჰქონდა საფრანგეთისთვისაო, მაგრამ ამასთანავე ფიქრობენ, რომ ანამთან მშვიდობიანობის ჩამოგდება ბევრს სარგებლობას არ მოუტანს საფრანგეთსა, თუ ჩინეთის მანდარინები ტონკინში სალდათების ფარულად გზავნას არ მოიშლიანო; სალდათებს იმიტომ აპარებენ ტონკინის საზღვრებში, რომ ფრანცუზებს ეომნენ, და ვიდრემდის საფრანგეთის მმართველობა ამ გვარს ჩინელების უკანონო ომს არ მოსპობს, მათი მდგომარეობაც იქ მკვიდრი არ იქნებაო.

— გენიდამ იწერებიან, რომ გრაფი კალნოკი ზალტბურგში წასულა, სადაც, როგორც ამბობენ, ბისმარკს ნახვას და მასთან მოლაპარაკება ექმნებაო.

— ბუდაპეშტის ოფიციალურს გაზეთში გამოცხადებულია შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულება, რომლითაც უბრძანებს მთავრობებს წინააღუდგენ იმ მოძრაობას, რომელიც ებრაელების წინააღმდეგ არის მიართული.

წერილი რედაქტორთან.

«დროებისა» 137 №-ში იყო დაბეჭდილი ბ. მოჩხუბარიძის წერილი რედაქციისაგან საკუთარი შენიშვნის წინ-წამძღვარებით. ბ. მოჩხუბარიძე მას შემდეგ ჩაჩუმდა, აღარც ავად ამოუღია ხმა, აღარც კარგად. ეხლა როდესაც ბ. მოჩხუბარიძე თავის არტისტული მოგზაურობიდამ დაბრუნდა, იმ საქმის განახლება სწადიან და ითხოვს თავი იჩინოს რედაქციის იმ წევრმა, რომლის კალამსაც ის შენიშვნა ეკუთვნის.

ბ. მოჩხუბარიძის სურვილი ახირებულად მიმაჩნია, მაგრამ მაინც ვასრულებ მისს წადილს და ვაცხადებ, რომ ის შენიშვნა საკუთრად მე მეკუთვნის და მის დაწერაში არც არავინ წამქეზებელი (подстрекатели), არც მომხმარებელი (пособники) არა მყოლია.

დავით კეზელი.

განცხადებანი

თბილისის კანცელარია, ობოლთა სამკვარეულის, ახალ-ახალ სადგურში გადატანის გამო, რომელიც მდებარეობს ველიამინოვის ქუჩაზედ, თავადი ამატუნის სახლში,—დასურული იქმნება ოთხშაბათს 31 აგვისტომდის. (1—1)

«პატივი მაქვს ვაცნობო მშობლებს იმ მოსწავლეთა, რომელნიც ჭწავლობდენ შარმან ქუთაისის საოთავად-აზნაურო სასწავლებლის პირველს პროგიმნაზიულს კლასში, რომ ბატ. ალექსიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველმა ნება დაგვრთო მომავალის ენკენისთვისათვის მეორე პროგიმნაზიული კლასის გახსნისა და ეს კლასი უსათუოდ გაიხსნება პირველს ენკენის თვეს».

ინსპექტორი ქუთაისის საოთავად-აზნაურო სასწავლებლისა

ა. ჭიჭინაძე.

(3—2)

ი. ა. მელიქ-ბეგლიაროვის

კერძო რეალურ სასწავლებელში

(თბილისი, ბარონის ქუჩა, სახლი № 10)

დამატებითი და მისაღები ეგზამენები დაიწყობა 23 აგვისტოს, სწავლა კი 1 სექტემბერს. სასწავლებელში ოთხი ნორმალური კლასია, აგრეთვე **მოსამზადებელი კლასი და კლასიკური განყოფილება.** მოწაფენი მიიღებიან პანსიონერებათ, ნახევარ პანსიონერებათ და თავისუფალ მოსიარულებათ. (10—9)

ა. მირზაშვილის

რეპეტიციის და მოსამზადებელი

კლასები

აცხადებენ, რომ მიღება მოწაფეებისა იწყობა 22 აგვისტოდამ და სწავლა პირველს სექტემბრიდამ. **Адресъ:** ბრიგოლ სოლომონის-ძის აბესალომოვის სახლებში, ოლბაჩესტვენის ქუჩაზედ, ეგზარხის მოედანის მახლობლად. (20—8)

სტამბა

ევთიმე ივ. ხელაძისა.

თბილისში, ლორის-მელიქოვის ქუჩ. ქაშუეთის ეკლესიის შენობაში.

იღებს ყოველ გვარ სასტამბო საქმეებს საბეჭდავად: გაზეთებს, ჟურნალებს, წიგნებს, ბროშიურებს, აგრეთვე ყოველ-გვარ ბლანკებს სჩოტებს, განცხადებებს, ათიშებს, პირობებს, და სხვ.

სისუფთავეზე და აღნიშნულ დროზე საქმის შესრულებაზე სტამბა პირობას აძლევთ საქმის მომტანთ.

სტამბა კისრულობს კორრექტურის გასწორებას და ბროშიურების გაკეთებას, უკეთუ ზაკაზის მომცემნი ისურვებენ.

მსურველთ ვთხოვთ ამ ადრესით მომმართოთ.

Тифлисъ, типографія Ефимія Ив. Хеладзе. (100—15)

ინგლისის მაღაზიაში

თმის-ამომუკანი

მაკ-მასტერი

ამაგრებს თმას და ადრინდელ ფერს აძლევს, ფასი ერთი შუშისა 2 მან., გაგზავნით 2 მანეთი და 28 კაპ.

(100—31)

აქვე ისყიდება ქინის პომადა თმების გასამაგრებლად. ფასი 1 მან. სჩოტებში თავის ტკივილის მოსასპობლად, ტუალეტის სპონი, დუნები და სხვ.

საგლობუსო



კალმები

რომლებითაც შეიძლება წერა სულ მსხვილ, უსუფთაო ქაღალდი. ერთად-ერთი საგენტო—ინგლისის მაღაზია. იქვე აუარებელი სხვა-და-სხვა გვარის კალმები, ოყოველის „ხელისათვის“—25% იაფად, ვინემ სხვაგან. იქვე: მელანი, ქაღალდი, კანვერტები, რვეულები, ფანქი, კარანდაში, ბენალი, კალმები, ბუმაგნიკები, ბორტსიგარები, ალბომები, რამკები, მაკრატლები, სამართებლები, სანთელი, სალესი, ტარაშკები ჭურჭლების საწმედად (ბორაკსი), თეთრეულისათვის, ბატარა სალესი ალტაკისათვის კლიონკები. ტასტები, საკარძლები, სარკეები, საკარტლები, ბეზმენნი, ზარები, ბინოკლები რულეტკები, ბატერფასები, მზის-საათები, კომპასები, ტერმომეტრები, ძეწკვები, ნემსები, მაგნატები, სკისტოკი, ბომბჩი, ქამრები, სარტყლები. საუკეთური, ბრობკები, საბრობკეები, კრანები, ფილტრები, შჩოტკები, თავის. ტანისამოსის, ცხენის და პატენტიანი მაკინტოშები, კრაგები, საქმეთ ქაღალდი კატერ-კლოზეტისათვის და სხვ. და სხვ.

პატაუკი—20 კ. (100—72)

მაზანდა

ხორაგისა, რომელიც იყიდება თბილისის ბაზრებში, დუქნებში და ხელ-და-ხელ 16 აგვისტოდამ 1 სექტემბრამდე 1883 წ.

გამომცხვარი ბური რუსეთის ფქვილისა	—1	გირ.	5 ბ.
აქაურის ფქვილისა: ბირველის სარისხისა	—1	გ.	3 ბ.
მეორისა	—1	გ.	$2^1/_2$
იმავე ფქვილ. თორნეში გამომცხვარი:			
ბირველის სარისხის	—1	გ.	5 ბ.
მეორისა	—1	გ.	$3^1/_2$
მესამისა	—1	გ.	3 ბ.
ჯვარის-მამის ბური:			
ბირველის სარის. ლავაში	1	გ.	5 ბ.
მეორის სარის. ლავაში	1	გ.	$3^1/_2$
მესამისა	—1	გ.	3 ბ.
ძროხის ხორცი:			
ბირველის სარისხის	—1	გ.	8 ბ.
მეორის	—1	გ.	7 ბ.
სუკი . . .	—1	გ.	15 ბ.
ცხვრის ხორცი	—1	გ.	7 ბ.

რკინის გზა

თბილისიდამ ქუთაისისკენ მიდის 8 საათზედ და 31 წამ. დილით.

თბილისიდამ ხაშურამდინ 3 საათ. და 11 წამ. შუადღის უკან.

თბილისიდამ ბაქოსკენ 11 საათზედ და 11 წამ. ღამისა.

ბაქოდგან თბილისისკენ 10 საათზედ და 23 წამ. დილისა.

ქუთაისიდგან თბილისისკენ 12 საათზ. და 25 წამ. შუადღ. უკან.

ქუთაისიდგან ბათუმისა და ფოთისკენ 5 საათზედ და 20 წამ. შუადღის უკან.

ბათუმიდგან თბილისისკენ 8 საათ. დილისა.

ფოთიდგან თბილისისკენ 8 საათ. და 45 წამ. დილისა.

ფოთიდამ ‡ ბათუმიდამ მომავალი თბილისში შემოდის 10 საათზედ და 25 წამ. ღამისა.

ბაქოდამ მომავალი შემოდის თბილისში 7 საათ. და 49 წამ. დილისა.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 24 Августа 1883 г. ეჭ. ხელაძის სტამბა. (Типографія Е. Хеладзе.) გამომცემელი ბ. ბართველი შვილი. რედაქტორი ი. მაჩაბელი